ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ჭ-19/01172232239-17

"10." 11. 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ჭავჭავაძის გამზირი, №80-ში (საკ. კოდები №01.14.10.001.066, №01.14.10.001.083) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის („D“ სექტორიში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის A, B და C ბლოკები – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3194656 07.04.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ჭავჭავაძის გამზირი, №80-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

-10.10 ნიშნულზე: „B/1-B/2“ მონაკვეთში შემცირებულია „პატარა საცურაო აუზის სიგანე 0.5მ-ით. „B/3-B/3“ ღერძზე არსებულ კოლონებს მონაცვლებული აქვს ადგილი 0.1მ-ით. „B/4-B/3“ მონაკვეთში „B/C-B/B“ ღერძებზე მონოლითურ კედლებში გაუქმებულია ღიობები. „B/4-B/3“ მონაკვეთში „B/C-B/B“ ღერძებს შორის დამატებით მოწყობილია ავზი სიმაღლით 2.6მ. „B/5-B/6“ მონაკვეთში დამატებულია ავზი 2.5მ^2 ფართის (სიმაღლე 1.5მ). „B/3-B/5“ მონაკვეთში მონოლითურ კედელში მოწყობილია ღიობი. „B/6-B/7“ მონაკვეთში „B/C-B/B“ ღერძებს შორის არ არის მოწყობილი ბაქანი.

-9.70 ნიშნულზე, „C/C“ ღერძზე „C/4- C/5“ მონაკვეთში მონოლითურ კედელში ღიობს მონაცვლებული აქვს ადგილი, ამავე მონაკვეთში „C/B“ ღერძზე მონოლითურ კედელში მოწყობილია ღიობი. „C/B“ და „C/C“ ღერძებზე გაზრდილია მონოლითური კედლის სისქე. „C/1- C/3“ მონაკვეთში გაუქმებულია კიბე, ხოლო -6.60 ნიშნულზე ფილაში გაუქმებულია ღიობი.

-6.60 ნიშნული: „A/F-A/F“ ღერძის გარეთ „B/1-A/4“ მონაკვეთში შეცვლილია საყრდენი კედლის ფორმა და გაბარიტები, ასევე შეცვლილია ტერიტორიის მოპირკეთება.

-3.30 ნიშნული: „E/C“ ღერძის გარეთ შემცირებულია საყრდენი კედლის სიგრძე 2 მ-ით.

±0.00 ნიშნული: „A/5-A/6“ მონაკვეთში შეცვლილია ბაქნის გაბარიტები. „A/6-A/5“ მონაკვეთში გაზრდილია აივნის სიგრძე 0.2 მ-ით. „F/A“ ღერძის გარეთ შეცვლილია საყრდენი კედლის ფორმა და გაბარიტები.

+3.30 ნიშნული: „E/1-E/3“ მონაკვეთში „A/B-A/A“ ღერძებს შორის დასასრულებელია ბაქნის და საფეხურის მოწყობა და შეცვლილია გრუნტის დონე. „F/1-F/2“ და „E/1-E/2“ მონაკვეთებში ხის პერგოლა მოწყობილია ლითონის კონსტრუქციაზე და შეცვლილია პერგოლების ფორმა.

+6.60 ნიშნული: „A/G-A/B“ მონაკვეთში დასასრულებელია ბაქნის მოწყობა. შეცვლილია საყრდენი კედლის ფორმა, რითაც შეცვლილია ეზოს გაბარიტები, ასევე შეცვლილია პერგოლის გაბარიტები და მასალა.

+37.20 ნიშნულზე „A/2-A/3“ მონაკვეთში კიბეს და ბაქანს მონაცვლებული აქვს ადგილი, ხოლო სახურავზე გასასვლელ კართან დამატებულია კიბის საფეხურები.

ფასადებზე ნაწილობრივ ვიტრაჟების გარშემო დასასრულებელია ხით მოპირკეთება. შენობაში შეცვლილია ლიფტების კარის სიგანე. შენობის

გადახურვებზე შეცვლილია სავენტილაციო შახტების გაბარიტები და მონაცვლებული აქვთ ადგილი.

„A/1-A/6“ ფასადი: +30.00 ნიშნულზე, „A/5-A/6“ მონაკვეთში ფანჯარას მონაცვლებული აქვს ადგილი. „A/2-A/3“ მონაკვეთში ვიტრაჟს მონაცვლებული აქვს ადგილი. „A/2-A/3“ და „A/4-A/5“ მონაკვეთში შეცვლილია ლითონის პერგოლის ვიზუალი. -0.15 ნიშნულზე, „A/4-A/5“ მონაკვეთში აივანზე დამატებით მოწყობილია კედელი. „A/3-A/4“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ფანჯრის ნახატი.

„A/G-A/A“ ფასადი: +6.30 ნიშნულზე საყრდენ კედლებზე არ არის მოწყობილი ლითონის მოაჯირი, ხოლო „A/D-A/C“ მონაკვეთში საყრდენ კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი. „A/D-A/D” ღერძთან შეცვლილია კარის ვიზუალი და შემცირებულია სიმაღლეში 0.3 მ-ით. +30.00 ნიშნულზე, „A/D-A/B” მონაკვეთში აივანზე გაუქმებულია საჩრდილობელი და ცხაური. +33.60 ნიშნულზე „A/A“ ღერძის მიმდებარედ აივნის ფილასა და ლითონის სვეტს შორის დამატებით მოწყობილია ლითონის ძელი.

„4’-4’“ ჭრილი: „F/A-F/B“ მონაკვეთში -3.30 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი და გაუქმებულია კიბის საფეხური. „F/A-F/B“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე, გაუქმებულია კაპიტალური საყვავილე, ხოლო მინის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. -4.50 ნიშნულზე, „A/C-A/D” მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი. „E/A-E/B“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე, გაუქმებულია კაპიტალური საყვავილე, ხოლო მინის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. „F/A-F/B“ და „E/A-E/B“ მონაკვეთებში ±0.00 ნიშნულზე ბეტონის კედლებზე გაუქმებულია ღებვა. „E/A-E/B“ მონაკვეთებში +3.30 ნიშნულზე საყრდენ კედლებზე კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილი ლითონის მოაჯირი.

„A/6-A/1“ ფასადი: ±0.00 ნიშნულზე, „A/6-A/4“ და „A/3-A/2“ კაპიტალურ მოაჯირებზე გაუქმებულია ლითონის მოაჯირი. „A/3-A/2“შეცვლილია შესასვლელი კარის ვიზუალი და შემცირებულია კარის თავზე გადახურვის სიგანე. +33.60 ნიშნულზე „A/6-A/5“ მონაკვეთში გაზრდილია პერგოლის სიმაღლე 0.35 მ-ით. „A/4-A/3“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ფანჯრის ნახატი. +30.00 ნიშნულზე, „A/6-A/5“ მონაკვეთში გაუქმებულია სავენტილაცი შახტა და მოწყობილია სავენტილაციო მილი „B/1-B/1“ ღერძის კედელზე.

-2.60 ნიშნულზე „D/D-D/E“ მონაკვეთებში კედელში გაზრდილია ღიობის სიგრძე 0.8 მ-ით. -3.10 ნიშნულზე, „D/D-D/E“ მონაკვეთში „D/1-D/1“ ღერძის გარეთ შექმნილია დამატებით 16 მ^2-ი ფართი ამავე მონაკვეთში კიბის ქვეშ დამატებულია სათავსო.

„A/5-A/4“ მონაკვეთში „A/A-A/A“ ღერძის გარეთ ფილის მოხრეშვის ნაცვლად მოწყობილია ფილებით მოპირკეთება. „A/5-B/5“ მონაკვეთში „A/B-A/B“ ღერძის გარეთ პროექტში ნაჩვენები გამწვანების ნაცვლად მოწყობილია ფილებით მოპირკეთება. ტერიტორიაზე ნაჩვენები ლამპიონების მოწყობა შეცვლილია და დასასრულებელია. სათამაშო მოედანზე შეცვლილია მოპირკეთების მასალა. +0.30 ნიშნულზე, კიბის უჯრედის გვერდით გაუქმებულია ხის პერგოლა. +0.30 ნიშნულზე „D/3-D/3“ ღერძზე, „D/E-DH“ მონაკვეთში კიბის უჯრედის ფასადზე დამატებულია სამი ფანჯარა. „D/H-DH“ ღერძზე „D/3-D/2“ მონაკვეთში ფასადზე კარის გვერდით დამატებულია ფანჯარა. „D/H-D/E“ მონაკვეთში კიბის უჯრედის ფასადზე დამატებულია ვიტრაჟი. კიბის უჯრედის სახურავზე დამატებით მოწყობილია დანადგარი და გამწვანება. ნაწილობრივ შეცვლილია სპორტული მოედნის ლითონის ბადის სიმაღლეები. ავტოფარეხის კედლებზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი.

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. ტერიტორიაზე შეცვლილია საყრდენი კედლის კონფიგურაცია და გაბარიტები. საყრდენ კედლებთან არსებული რელიეფის დონეები არ შეესაბამება საპროექტოს. „G/1-G/2“ მონაკვეთში შეცვლილია საყრდენი კედლის ფორმა და ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს, ასევე დამატებულია საკომუნიკაციო მილები, რომელიც სცდება საკადასტრო საზღვრებს. „A/1-A/1“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია ტეხილი ფორმის ბეტონის კედელი, რომელიც ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.

+37.20 ნიშნულზე, „B2-B3“ მონაკვეთში ფასადის კედლები შესაღებია. ფასადებზე აივნის ფილები ნაწილობრივ მოსაპირკეთებელია. ლითონის პერგოლებზე დასასრულებელია პოლი-კარბონატის საჩრდილობლის მოწყობა.

„C1- C7” ფასადზე: “C/1” ღეძთან 29.70 ნიშნულიდან 36.30 ნიშნულამდე დამატებულია ხის მოპირკეთება. 36.30 ნიშნულზე “C/3- C/5” მონაკვეთში გაზრდილია აივნების ფილის სისქე. “C/6- C/7” მონაკვეთში 39.75 ნიშნულზე შეცვლილია ლითონის პერგოლის დახრა.

„B7- B1” ფასადზე: “B/7- B/5” მონაკვეთში კიბეებთან მინის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. კიბეებზე არ არის მოწყობილია ხის ფიცრებით მოპირკეთება. “B/6- B/5” მონაკვეთში -6.60 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის ვიზუალი. “B/4- B/3” მონაკვეთში -6.60 ნიშნულზე არ არის მოწყობილი ხის გისოსი. “B/3- B/2” მონაკვეთში -6.60 დან 0.00 ნიშნულამდე არ არის მოწყობილი ხის ფიცრებით მოპირკეთება.

„B1- B7” ფასადზე: B5 ღერძთან 33.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური სავენტილიაციო შახტა.

-3.40 ნიშნულზე „B/5” ღერძზე გაუქმებულია კარი და კედელი, ხოლო მის მიმდებარედ ერთფრთიანი კარის ნაცვლად მოწყობილია ორფრთიანი. 0.00 ნიშნულზე “B/4- B/5” მონაკვეთში B5 ღერძისკენ გაუქმებულია საყვავილე. “B/3- B/4” მონაკვეთში გაქუმებულია ბაქანი. B5 ღერძთან გაუქმებულია კაპიტალური საყვავილე. 33.60 ნიშნულზე “B/3- B/4” მონაკვეთში გაუქმებულია საჩრდილობელი. “B/1-B/2” მონაკვეთში შემცირებულია ბაქნის სიგანე. კაპიტალური მოაჯირში მოწყობილია ღიობი. სადარბაზოსთან დამატებით მოწყობილია პანდუსი და კიბეები. +30.00 ნიშნულზე “B/4- B/6” მონაკვეთში გაზრდილია აივნის სიგანე. “B/6-B/7” მონაკვეთში გაუქმებულია ორი კარი. 37.20 ნიშნულზე სამანქანოსთან კიბეს მონაცვლებული აქვს ადგილი. დამატებით მოწყობილია ლითონის კიბე.

“C/5” ღერძთან ტერასზე გაუქმებულია კაპიტალური საყვავილე. “C/ A^{I} - C/ C” მონაკვეთში შეცვლილია ბაქნის გაბარიტი.

36.60 ნიშნულზე „C/7“ ღერძთან “C/ C -C/ C^{I}” მონაკვეთში შეცვლილია კარისა და ვიტრაჟის გაბარიტები და მონაცვლებული აქვს ადგილი. +6.30 ნიშნულზე, „C/7“ ღერძის გარეთ „C/A-C/D” მონაკვეთში შეცვლილია ლითონის მოაჯირის სიმაღლე და ნახატი. „C4“ ღერძთან „C/A^{I}-C/A” მონაკვეთში არ არის მოწყობილი ტიხარი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ” ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „მერკური ვაკე“-ს, ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ჭავჭავაძის გამზირი, №80-ში (საკ. კოდები №01.14.10.001.066, №01.14.10.001.083) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის („D“ სექტორიში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის A, B და C ბლოკები – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01172232239-17 11.08.2017წ. და
№19/01173071541-17 03.11.2017წ. განცხადებები.
№წ-19/01172232239-17 13.08.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ფეჯაძე